



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/241
18/04/2019

241-01-2-201904181829



№1/1/655

ქ. ბათუმი, 2019 წლის 18 აპრილი

კოლეგიის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა - სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ევა გოცირიძე - წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე - წევრი;

მაია კოპალეიშვილი - წევრი.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები - ვაჟა ჯაოშვილი და ნათია კუტივაძე; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები - ქრისტინე კუპრავა, თამარ მესხია და გიორგი თორდია.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 7 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №655) მიმართა „შპს სკს-მ“. №655 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადაეცა 2015 წლის 8 ივლისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის №1/13/655 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). საქმის არსებითი განხილვის სხდომა გაიმართა 2017 წლის 24 იანვარს და 2017 წლის 6 თებერვალს.

2. №655 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე არ ვრცელდება აღნიშნული კანონი.

4. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა“. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების თანახმად, „მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა“.

5. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმით შპს „საქართველოს ფოსტას“ მიანიჭა ექსკლუზიური უფლებამოსილება და საქართველოს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე ფაქტობრივად გამორიცხა შპს „საქართველოს ფოსტის“ გარდა სხვა ეკონომიკური აგენტების მონაწილეობა, რითაც დაარღვია თავისუფალი კონკურენცია. მისივე მტკიცებით, სადავო ნორმა ქმნის ბაზრის

სტრუქტურულ ბარიერს, რის გამოც ირღვევა თავისუფალი მეწარმეობის უფლება საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე.

6. მოსარჩელის განცხადებით, სახელმწიფომ ამგვარი საკანონმდებლო რეალობის შექმნით უგულებელყო მეწარმეობისა და კონკურენციის მხარდაჭერისთვის ნაკისრი ვალდებულება. სადავო ნორმა საჯარო უწყებებს აძლევს შესაძლებლობას, ხელშეკრულების პირდაპირი დადების გზით შეიძინონ საფოსტო და საკურიერო მომსახურება, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებში შეჯიბრებითობის საფუძველზე მონაწილეობას და ზღუდავს ბაზარზე კონკურენციას. ამდენად, სადავო ნორმის საფუძველზე, უპირატესობა მიენიჭა მხოლოდ ერთ ეკონომიკურ აგენტს, რამაც შექმნა აღნიშნული ეკონომიკური აგენტის საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე მონოპოლისტად დამკვიდრების სამართლებრივი წინაპირობა.

7. მოსარჩელის პოზიციით, უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევის ვალდებულება არ არის დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ რეგულაციებთან. ამასთან, უნივერსალური საფოსტო მომსახურების გაწევის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება არ გულისხმობს, რომ საკურიერო მომსახურება შედავათიან ფასებში იქნეს მიწოდებული მოსახლეობისთვის. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ უნივერსალური მომსახურების გაწევა დაკავშირებულია მომსახურების ფასების რეგულირებასთან. მოსარჩელე მხარე თავისი არგუმენტების გასამყარებლად მიუთითებს საერთაშორისო დოკუმენტებზე.

8. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განცხადებით, სადავო ნორმა შემსყიდველ ორგანიზაციებს არ უზღუდავს ტენდერის გამოცხადებას, რა შემთხვევაშიც საფოსტო და საკურიერო ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელ ეკონომიკურ აგენტებს აქვთ მასში მონაწილეობის უფლება. ამდენად, შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს მხოლოდ უფლება და არა ვალდებულება, რომ პირდაპირი წესით გააფორმოს ხელშეკრულება შპს „საქართველოს ფოსტასთან“.

9. მოპასუხის მტკიცებით, სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა. საქართველო 1994 წლიდან მიუერთდა მსოფლიო საფოსტო კონვენციას და 1999 წლიდან მსოფლიო საფოსტო კავშირის წესდებას. აღნიშნული საერთაშორისო აქტების საფუძველზე, საქართველომ აიღო ვალდებულება, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყოფილიყო უზრუნველყოფილი საფოსტო-საკურიერო მომსახურების განხორციელება, რასაც საქართველო შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით ახორციელებს ქვეყნის ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

10. მოპასუხემ განაცხადა, რომ აუცილებელია საფოსტო და საკურიერო მომსახურების ცნებების გამიჯვნა, რადგან აღნიშნული ორი მომსახურება ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავდება. საკურიერო მომსახურება გულისხმობს გზავნილის ხელიდან ხელში გადაცემას და არა საფოსტო მომსახურების განხორციელებას, რომელიც მოიცავს გზავნილის დახარისხებას, დამუშავებას და ადრესატამდე მიტანას. მოპასუხემ აღნიშნა, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს საფოსტო გზავნილთა მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ჩაბარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ 190-ზე მეტ ქვეყანაში. გარდა ამისა, შპს „საქართველოს ფოსტა“

მომხმარებელს სთავაზობს კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას, ფულადი გზავნილების გაგზავნასა და სატელეგრაფო მომსახურებას. ამასთან, შპს „საქართველოს ფოსტას“ აქვს ერთიანი მოწესრიგებული სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა სახის საფოსტო მომსახურებას და დადგენილია ფასები, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება საერთაშორისო კონვენციით დადგენილ ფასებს. შპს „საქართველოს ფოსტას“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებისთვის დადგენილი აქვს დაბალი ფასები საქართველოს ტერიტორიის მთელი მასშტაბით მომსახურების გაწევაზე, რაც ხელს უწყობს ბაზარზე დაბალი ფასების არსებობას.

11. მოპასუხის განცხადებით, სადავო ნორმის გაუქმება უარყოფითად აისახება 2500-მდე კონტრაქტორზე, რომელსაც მოუწევს ტენდერის გამოცხადება და სატენდერო პირობების დამუშავება. ყველა კონტრაქტორისთვის გზავნილის ჩაბარებისა და მომსახურების დროული მიღება დადგება ეჭვქვეშ, რაც დაარღვევს მომსახურების სტანდარტებს, ასევე დაირღვევა მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ გზავნილის ჩაბარების ერთიანი სტანდარტისათვის და უნივერსალური საფოსტო მომსახურებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები. მოპასუხე მხარემ თავისი არგუმენტების გასამყარებლად მიუთითა საერთაშორისო აქტებსა და პრაქტიკაზე.

12. №655 კონსტიტუციურ სარჩელზე სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება წარმოადგინა „შპს თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა“. სასამართლოს მეგობრის წერილობით მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მითითებული სიტყვები „სამეწარმეო თავისუფლება“ და „კონკურენციის წესები“ უნდა განიხილებოდეს ერთობლიობაში, რადგან კონკურენციის წესების დაცვა აუცილებელია სამეწარმეო თავისუფლებისთვის და პირიქით. სასამართლოს მეგობარი აღნიშნავს, რომ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შპს „საქართველოს ფოსტა“ არის მონოპოლისტი, რაც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას. ამასთან, სასამართლოს მეგობარს მიაჩნია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ბაზარზე ფასების დაბალანსება არ არის ღირებული ლეგიტიმური მიზანი, ვინაიდან საერთაშორისო აქტები თავადვე მიუთითებს ბაზარზე კონკურენციის წესების დაცვის აუცილებლობაზე. ამდენად, სასამართლოს მეგობარს მიაჩნია, რომ თავისუფალი მეწარმეობის უფლება და კონკურენციის განვითარება იზღუდება ლეგიტიმური მიზნის გარეშე.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები

1. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების (2018 წლის 18 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. კონსტიტუციური სარჩელის გადაწყვეტის ეტაპზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მოსარჩელის მიერ მითითებულ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებს (2018 წლის 18 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) შეესატყვისება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები, რომელთა თანახმად, მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების კონსტიტუციურობას შეაფასებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით.

2. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების უფლების არსი და დაცული სფერო

2. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მეწარმეობის თავისუფლება [...] წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-2).

3. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით *expressis verbis* არ მიუთითებს, რომ დაცულია კონკურენციის თავისუფლება. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია

ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. აღნიშნული დებულება აყალიბებს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების კონსტიტუციურ პრინციპს.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას, არ არის შეზღუდული მხოლოდ კონსტიტუციის კონკრეტული ნორმებით. მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი ასევე ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით, კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და ამ თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა წარიმართოს ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-3). შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული მეწარმეობის თავისუფლების ძირითადი უფლების განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციით დაცულია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის პირობებში.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწყობილობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-2). „მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მართო ინსტიტუციურად ამ საქმიანობის ნორმატიულ აღიარებას. მნიშვნელოვანია მისი მთავარი მოთამაშის, კერძოდ, მეწარმისადმი შეთავაზებული გარანტიები. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს, იზრუნებს მათი გაჯანსაღებისათვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-3).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სამეწარმეო თავისუფლება და ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენტული გარემოს

უზრუნველყოფა ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ახალისებს უკეთესი ხარისხის საქონლის/მომსახურების კონკურენტულ ფასად წარმოებას/მიწოდებას. თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან. სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ეკონომიკური აგენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმნისაგან და მიიღოს ზომები კონკურენტული ეკონომიკური გარემოს, თავისუფალი ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-3).

7. ამასთან, „სახელმწიფოს მიერ ბაზრის რომელიმე სეგმენტზე განხორციელებულმა ჩარევამ არ უნდა გამოიწვიოს ცალკეული ეკონომიკური აგენტის (ან აგენტთა ჯგუფის) პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება და საფრთხე არ უნდა შეუქმნას ბაზრის ამავე სეგმენტის მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ საქმიანობის კონკურენტულ გარემოში განხორციელების უფლებას. დაუშვებელია სახელმწიფომ თავისი დაუსაბუთებელი ჩარევებით საბაზრო ძალაუფლება შეუქმნას ბაზრის რომელიმე მონაწილეს. სახელმწიფოს მიერ რომელიმე ეკონომიკური აგენტის შერჩევითად მხარდაჭერა საფრთხეს უქმნის თავისუფალ კონკურენციას, ბაზრის სტრუქტურას და ზოგადად, ეკონომიკურ თავისუფლებას. შერჩევითი საფუძვლით ეკონომიკური აგენტისთვის/აგენტებისთვის სარგებლის მინიჭება ცვლის როგორც სარგებლის მიმღები, ასევე ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ეკონომიკური აგენტების მდგომარეობას. ასეთი პირობების შექმნა აუმაღლებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის (ეკონომიკური აგენტების ჯგუფის) საბაზრო მდგომარეობას და მას ამავე ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. სახელმწიფოს ჩარევის შედეგად იცვლება ბაზრის სტრუქტურა და უარესდება იმ ეკონომიკური აგენტების საბაზრო მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფოსგან სარგებელს არ იღებენ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-6,7)

8. თავისუფალ ბაზარზე ჩარევის სპეციფიკური და საკმაოდ მძიმე ფორმაა რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან აგენტთა ჯგუფის მხარდაჭერა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით (სახელმწიფო დახმარება). სახელმწიფო დახმარება არის ნებისმიერი სარგებელი, რომელსაც სახელმწიფო, საბიუჯეტო სახსრების საშუალებით, შერჩევითად ანიჭებს ეკონომიკურ აგენტს ან აგენტთა ჯგუფს. საბიუჯეტო სახსრებიდან სარგებლის მინიჭება შეიძლება მოხდეს ეკონომიკური აგენტისთვის შემოსავლების გაზრდის ან ხარჯების შემცირების გზით, რაც, თავის მხრივ, საბიუჯეტო სახსრების შემცირების შედეგად გაიწევა. სახელმწიფო დახმარების გაცემისას შერჩევითობის საფუძველზე ხდება ბაზარზე მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის გამოცალკევება და მათთვის იმგვარი უპირატესობების მინიჭება, რაც არ არის

ხელმისაწვდომი ბაზრის ამავე სეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის.

9. საბაზრო უპირატესობის სახელმწიფოს ჩარევით, საბიუჯეტო რესურსების გამოყენების და არა ეკონომიკური მოგების შედეგად მიღება განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის თავისუფალი ბაზრისათვის. სახელმწიფო დახმარების გაცემით ეკონომიკურ აგენტებს შორის ღია საბაზრო წესების შედეგად მიღებული ბუნებრივი მდგომარეობა იცვლება დახმარების მიმღები ეკონომიკური აგენტების სასარგებლოდ. აღნიშნული გარემოებების ცვლილებასთან ერთად ბაზრის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის ნაკლებად კონკურენტული ხდება გარემო. შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების გაცემა განაპირობებს ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის განვითარების შეზღუდვას და იწვევს მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევას.

10. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან.

3. სადავო ნორმის შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

11. სადავო ნორმის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, აღნიშნული რეგულირებით კანონმდებელმა საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრის მონაწილე ერთი ეკონომიკური აგენტისთვის (შპს „საქართველოს ფოსტისათვის“) დაადგინა შეღავათი, რამაც ამავე ბაზრის მონაწილე სხვა ეკონომიკურ აგენტებს შეუქმნა ხელოვნური ბარიერები და გამორიცხა კონკურენცია. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სახელმწიფომ შექმნა შპს „საქართველოს ფოსტის“ მონოპოლიტად დამკვიდრების სამართლებრივი წინაპირობა, რათა საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზრიდან განდევნოს სხვა ეკონომიკური აგენტები.

12. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ პრინციპებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებია: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა; ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება; გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის

უზრუნველყოფა; დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა; ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

13. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის, საბიუჯეტო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახსრებით. შემსყიდველი ორგანიზაციები თავისი საქმიანობიდან გამომდინარე შეიძენენ სხვადასხვა შესყიდვის ობიექტს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სავალდებულო პროცედურებს. მაგალითად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს შესყიდვების დაგეგმვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ამავე კანონის 10¹ მუხლი განსაზღვრავს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებსა და ფორმებს, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების კატეგორიებს, რომლებზეც უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავით გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მათი გადასინჯვის წესი, V თავით კი - სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებული მოთხოვნები და ა.შ.

14. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა, შესაძლოა, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის საშუალებით. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვა განმარტებულია როგორც შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება ამ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაიცვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული პრინციპები, აგრეთვე მე-8 მუხლით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები. ამავე წესის მე-9 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია

ვალდებულია, გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ატვირთოს CMR მოდულში (სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ელექტრონული მოდული). ხელშეკრულებასთან ერთად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სისტემაში ატვირთოს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (არსებობის შემთხვევაში) და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია (არსებობის შემთხვევაში).

15. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერი განმარტებულია როგორც 5 000 ლარის ან მეტი ღირებულების (გარდა ამ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის ამ კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს. ელექტრონული ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-4 მუხლის თანახმად, ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას უნდა იყოს დაცული შემდეგი პრინციპები: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; ბ) შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია; გ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორობა მოპყრობა; დ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული მოთხოვნების დადგენა; ე) საჯაროობა და გამჭვირვალობა. ამავე წესის 29-ე მუხლის თანახმად, როგორც წესი, გამარჯვებულად ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება სატენდერო პირობებს.

16. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტით კონკურსი განმარტებულია როგორც საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. ამავე კანონის 10² მუხლის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერისგან განსხვავებული სახელმწიფო შესყიდვის – კონკურსის – საშუალებით. საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც, საკონკურსო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია ოფიციალურად გამოქვეყნებულად ითვლება. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, კონკურსის ჩატარებისას უნდა იყოს დაცული შემდეგი პრინციპები: ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; ბ) შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია; გ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორი მოპყრობა; დ) შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული მოთხოვნების დადგენა; ე) საჯაროობა და გამჭვირვალობა. ამავე წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისთვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი წონები.

17. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ანალიზით დგინდება, რომ სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობა იცნობს გარკვეულ კომპლექსურ პროცედურებს, რომელთა შესაბამისადაც, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვა. განსახილველი დავის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შემოწმების საჭიროების წინაშე. ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონმდებლობის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვით, შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის, მათ მიმართ თანასწორი მოპყრობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის დაცვით. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ის პროცედურული მოთხოვნები, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა ამა თუ იმ შესყიდვის საშუალებისათვის.

18. სადავო ნორმა არაორაზროვნად მიუთითებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი არ ვრცელდება შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე. ამავდროულად, კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე სხვა წესს, რომელიც „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს მოაწესრიგებდა. შესაბამისად, სადავო ნორმა ქმნის სპეციალურ რეჟიმს შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებით და სრულად გამორიცხავს მათზე იმ რეგულირებას, რასაც სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს. შედეგად, შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა, შესაბამისი პროცედურის დაცვის გარეშე, უშუალოდ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ შეიძინონ საფოსტო და საკურიერო მომსახურება იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული მომსახურების სხვა მიმწოდებლებისაგან შეძენა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნებს. კერძოდ, რომელიმე სხვა მიმწოდებლისაგან საფოსტო და საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონის მკაცრი პროცედურული მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი შესყიდვის ფორმის გამოყენებით.

19. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად ქმნის შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების ამგვარი სპეციალური რეჟიმი სახელმწიფო დახმარების შემადგენლობას და ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ

მეწარმეობის თავისუფლებას. როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული უფლება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ შეზღუდოს კონკურენცია რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის (ან აგენტთა ჯგუფისათვის) სარგებლის მინიჭების გზით. ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭების განსაკუთრებული ფორმაა სახელმწიფო დახმარების გაცემა, რაც გულისხმობს ნებისმიერ სარგებელს, რომელსაც სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების საშუალებით შერჩევითად ანიჭებს ეკონომიკურ აგენტს ან აგენტთა ჯგუფს, რითაც ზღუდავს კონკურენციას ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, არის თუ არა სახეზე საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლების შემზღუდველი ღონისძიების - სახელმწიფო დახმარების ნიშნები.

20. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რამდენად ენიჭება სადავო ნორმით დადგენილი სარგებელი ეკონომიკურ აგენტს. სწორედ ეკონომიკური აგენტისათვის სახელმწიფოს მიერ სარგებლის მინიჭება ქმნის საფრთხეს კონკურენციისათვის და იწვევს ჩარევას მეწარმეობის თავისუფლებაში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სარგებელი ენიჭება ისეთ სუბიექტს, რომელიც არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით და არ მონაწილეობს ამა თუ იმ ბაზარზე, არც იქმნება საბაზრო უპირატესობის მინიჭებისა და ამ მხრივ კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე.

21. ამა თუ იმ პირის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის უმთავრესია მისი საქმიანობის ბუნება. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის ეკონომიკურ აგენტად შეფასდება ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. ეკონომიკური საქმიანობაა ამა თუ იმ ბაზარზე სერვისისა და საქონლის შეთავაზება. სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს მის სამართლებრივ სტატუსს, დაფინანსების წყაროს, ეკონომიკური საქმიანობის ფორმას და მიზნებს. კვალიფიკაციისათვის ირელევანტურია სუბიექტის საქმიანობის მიზანია მოგების მიღება თუ მას აქვს არაკომერციული, იდეალური მიზნები. ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შეთავაზება უკვე ქმნის პირის მიმართ სარგებლის მინიჭებით კონკურენციის შეზღუდვის რისკებს და საკმარისია მის ეკონომიკურ აგენტად შეფასებისათვის. ამავდროულად, ეკონომიკური აგენტის კვალიფიკაცია ფუნქციურია და უკავშირდება მხოლოდ სპეციფიკურ საქმიანობას. თუ სუბიექტი ახორციელებს როგორც ეკონომიკურ, ისე - არაეკონომიკურ საქმიანობას, იგი ეკონომიკურ აგენტად ჩაითვლება მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში.

22. განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელი სუბიექტია შპს „საქართველოს ფოსტა“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრეა სახელმწიფო (წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის). საქმეზე წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მიუთითებს, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ ბაზარზე ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას - სთავაზობს საკურიერო და საფოსტო მომსახურებას, კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას, ფულადი გზავნილების გაგზავნას და სატელეგრაფო მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ აღნიშნულ მომსახურებას სთავაზობს არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ - ნებისმიერ მსურველს. შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს ეკონომიკურ

საქმიანობას და უნდა შეფასდეს როგორც ეკონომიკური აგენტი საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის. შესაბამისად, მისთვის სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი სარგებლის შერჩევითად მინიჭება შეიცავს რისკებს ბაზარზე კონკურენციისათვის და საჭიროებს სათანადო შეფასებას.

23. როგორც აღინიშნა, კონკურენციისათვის საფრთხის შემცველია საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით უპირატესობის შექმნა შერჩევით. ე. ი. ამ თვალსაზრისით კონკურენციის უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელია, უპირატესობის მინიჭება შერჩევითად რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის ან აგენტთა ჯგუფისათვის. სახელმწიფო დახმარებად არ ჩაითვლება ისეთი სახის ღონისძიება, რომელიც ზოგადი გამოყენების არის, არ არის შერჩევითი და არ გამოყოფს რომელიმე ეკონომიკურ აგენტს ან აგენტთა ჯგუფს. განსახილველ შემთხვევაში აშკარაა, რომ სახეზეა შერჩევითობის კომპონენტი, ვინაიდან გამოყენებული ღონისძიება მიემართება მხოლოდ ერთ ეკონომიკურ აგენტს – შპს „საქართველოს ფოსტას“.

24. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის ეკონომიკური აგენტისა და შერჩევითობის ელემენტის არსებობასთან ერთად უნდა დადგინდეს, რამდენად ხდება სარგებლის მინიჭება სახელმწიფოს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით. როგორც აღინიშნა, კონკურენციის შეზღუდვა ამ თვალსაზრისით უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით საბაზრო უპირატესობის მოპოვებას და იმ საფრთხეებს, რასაც ამ გზით მიღებული საბაზრო ძალაუფლება წარმოშობს კონკურენციისათვის.

25. განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი რეგულაცია შეეხება სახელმწიფო შესყიდვებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვა დაფინანსების სხვა წყაროებთან ერთად ხორციელდება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ შპს „საქართველოს ფოსტა“ სარგებელს იღებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების სახსრებით. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების კრიტერიუმიც სახეზეა.

26. სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვა სახეზეა მაშინ, როდესაც საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით სახელმწიფო რომელიმე ეკონომიკურ აგენტს შერჩევითად ანიჭებს სარგებელს. ამრიგად, უნდა დადგინდეს, რაში ვლინდება შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ სარგებლის მინიჭება და აყენებს თუ არა ამგვარი მოპყრობა აღნიშნულ სუბიექტს სხვა ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით უპირატეს მდგომარეობაში. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმა ცალკეულ სახელმწიფო ორგანოებს და სხვა სუბიექტებს, რომლებიც საბიუჯეტო სახსრებით (და კანონით გათვალისწინებული სხვა წყაროებიდან) ფინანსდებიან, აძლევს შესაძლებლობას, რომ საფოსტო და საკურიერო მომსახურება შეისყიდონ მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტისგან“ სახელმწიფო შესყიდვების მიმართ დადგენილი პროცედურული მოთხოვნების გვერდის ავლით.

27. ზოგადად, სახელმწიფო ორგანოებს ფუნქციონირებისა და საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებისათვის არაერთი საქონლისა და მომსახურების შეძენა ესაჭიროებათ. თავისთავად, სახელმწიფოს მიერ გარიგებების დადება, ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტისაგან საქონლისა და მომსახურების შეძენა და მისთვის სანაცვლო ანაზღაურების გადახდა არ არის კონკურენციის შემზღუდველი. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ბაზრის სხვა მონაწილეების მსგავსად მოქმედებს და ბაზრის პრინციპების გათვალისწინებით შეიძენს ამა თუ იმ საქონელს ან მომსახურებას, არ არის სახეზე რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის საბაზრო უპირატესობის მინიჭება და ამ გზით კონკურენციის უფლების შეზღუდვა.

28. სახელმწიფო ორგანოების მიერ გარიგებების დადება და ამა თუ იმ საქონლის/მომსახურების შეძენა, არ აყენებს ეკონომიკურ აგენტებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში, თუ ეს გარიგებები ნორმალურ საბაზრო პირობებშია დადებული. სახელმწიფო კონკურენციას ზღუდავს მაშინ, როდესაც იგი არ მოქმედებს ჩვეულებრივი ბაზრის მონაწილის მსგავსად და გარიგებას დებს ნორმალური საბაზრო პირობებიდან გადახვევით. მაგალითად, თუ სახელმწიფო რომელიმე საქონელს/მომსახურებას მხოლოდ ერთი კონკრეტული ეკონომიკური აგენტისაგან შეიძენს და არ ამოწმებს, ხომ არ არსებობს იგივე საქონლის/მომსახურების სხვა ეკონომიკური აგენტისაგან უფრო ხელსაყრელი ფასით და პირობებით შეძენის შესაძლებლობა, აშკარაა, რომ სახელმწიფო არ მოქმედებს ბაზრის ჩვეული მონაწილის მსგავსად და საკუთარი ქმედებებით კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ანიჭებს სარგებელს.

29. განსახილველ შემთხვევაში სადავოდ გამხდარი ნორმა შემსყიდველ ორგანიზაციებს ანიჭებს შესაძლებლობას, რომ შპს „საქართველოს ფოსტისგან“ შეისყიდონ საფოსტო ან/და საკურიერო მომსახურება ნორმალური საბაზრო პირობებისაგან გვერდის ავლით, იმგვარად, რომ არ მიიღონ მხედველობაში ამავე მომსახურების მიმწოდებელი სხვა ეკონომიკური აგენტების შეთავაზებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება შპს „საქართველოს ფოსტის“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების შესაძლებლობა. საფოსტო და საკურიერო მომსახურების მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტისგან“ შესყიდვა აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს ანიჭებს მნიშვნელოვან საბაზრო უპირატესობას, რამდენადაც სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან განსხვავებით, მას უკვე ჰყავს საკმაოდ დიდი რაოდენობის გარანტირებული შემკვეთი, სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციების სახით.

30. ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტისათვის თუნდაც შერჩევითად საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით სარგებლის მინიჭება, თავისთავად, არ გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვას. ეკონომიკური აგენტისათვის სახელმწიფოს მიერ შერჩევითად სარგებლის მინიჭება უფლების შეზღუდვის შემადგენლობას ქმნის მაშინ, როდესაც იგი ახდენს გავლენას კონკურენციაზე ან წარმოშობს ამგვარ საფრთხეს. იმ პირობებში, როდესაც საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით საგრძნობლად უმჯობესდება ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობა, ამავე ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, უკვე იქმნება არაკონკურენტული პირობების შექმნის საფრთხე და, შედეგად, კონკურენციისა და თავისუფალი მეწარმეობის უფლების შეზღუდვის შემადგენლობაც.

31. სადავო ნორმით გათვალისწინებული წესით შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ უპირატესობის მინიჭება გავლენას ახდენს საფოსტო და საკურიერო მომსახურების ბაზარზე ეკონომიკურ აგენტებს შორის მატერიალური სიკეთეების გადანაწილებაზე. შპს „საქართველოს ფოსტას“ მნიშვნელოვანი წილი უკავია საქართველოში საფოსტო და საკურიერო ბაზარზე. ამდენად, მისთვის საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით შერჩევითად სარგებლის მინიჭება ცვლის ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების მდგომარეობას და საფრთხეს შეიცავს კონკურენციისათვის. მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება სადავო ნორმის მიღების შემდგომ საფოსტო ბაზრის მდგომარეობის შეცვლის შესახებ. მოსარჩელის ინფორმაციით, სადავო ნორმის მიღებამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შედეგად, შპს „სკს“-ს ბრუნვის წილი ადგილობრივი გზავნილების ბაზრის მთლიან ბრუნვაში შეადგენდა 77%-ს, ხოლო 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 0,68%-მდე დაიწია. აშკარაა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული წესი მნიშვნელოვნად ცვლის საფოსტო და საკურიერო ბაზრის სტრუქტურას და შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის რისკებს.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სახეზეა ეკონომიკური აგენტისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით შერჩევითად ისეთი სარგებლის მინიჭება, რომელიც აუმჯობესებს აღნიშნული ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობას და ქმნის კონკურენციის შეფერხების მნიშვნელოვან რისკებს. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული უფლების შეზღუდვა.

4. შეზღუდვის გამართლება

4.1. შეფასების ტესტი

33. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, ისე რომ არ დაირღვეს ამ უფლების არსი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

34. შეზღუდვის თანაზომიერების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამეწარმეო თავისუფლების უფლების სპეციფიკური მახასიათებლები და

კანონმდებლის მიხედულების ფარგლები ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ცალკეულ სფეროებში სახელმწიფოს, რეგულირების კუთხით, გააჩნია განსაკუთრებით ფართო დისკრეცია. ცხადია, დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას. სამართალშემოქმედის მიხედულების ფარგლები პირობადებულია კონსტიტუციური პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებით, რაც უზრუნველყოფს უფლებამოსილების გადაჭარბებისა და მისი არამიზნობრივად გამოყენების რისკის თავიდან აცილებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20).

4.2. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

35. საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, დაადგენს, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება. „ნებისმიერ შემთხვევაში, ამ მიზნის ქვეშ მოაზრებული სიკეთე ნორმატიულად მოწესრიგებადი და ფასეული უნდა იყოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანი და არა ისეთი, რომელიც გაუცხოებულია ნორმატიული ნებისგან და არ შეესაბამება მას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-9).

36. საქართველოს პარლამენტის პოზიციით, სადავო ნორმით გათვალისწინებული რეგულირება ემსახურება ისეთი საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიც არის საფოსტო და საკურიერო მომსახურებების გაწევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, საკურიერო მომსახურება გულისხმობს გზავნილის ხელიდან ხელში გადაცემას, ხოლო საფოსტო მომსახურება მოიცავს გზავნილის გაცვლის პუნქტში დახარისხებას, დამუშავებას და ადრესატამდე მიტანას. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული, თავისი შინაარსით, უნივერსალური მომსახურებაა, რომლის უზრუნველყოფაც მომდინარეობს სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებიდან. სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ შპს „საქართველოს ფოსტას“ ჰქონდეს შესაძლებლობა, რათა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად გასწიოს საფოსტო და საკურიერო მომსახურება.

37. როგორც აღინიშნა, თავისუფალი მეწარმეობის უფლების შესაზღუდად აუცილებელია, არსებობდეს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი. ამავდროულად, ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევადაც იზღუდება თავისუფალი მეწარმეობა და კონკურენცია, უნდა შეესატყვისებოდეს დასახელებული კონსტიტუციური უფლების მნიშვნელობას. ამრიგად, უნდა შემოწმდეს, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომობა ღირებულ

ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევადაც დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული უფლების შეზღუდვა.

38. მოსახლეობისათვის მთელ ტერიტორიაზე ისეთი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორიც არის საფოსტო და საკურიერო მომსახურება, ნამდვილად მნიშვნელოვანი მიზანია. სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, შექმნას სათანადო პირობები, რათა მოსახლეობას ჰქონდეს წვდომა ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სერვისებზე, როგორებიც არის საფოსტო გზავნილების, წერილობითი კორესპონდენციის, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, პერიოდული გამოცემების, ამანათების გაგზავნისა და მიღების მომსახურება. ამგვარი სერვისების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთულად მისაწვდომ, მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ტრანსპორტირება და საფოსტო გზავნილების მიღება/გაგზავნა რიგ ტექნიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა, ნამდვილად არის ღირებული ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევადაც შესაძლებელია, შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული კონკურენციისა და მეწარმეობის თავისუფლება.

4.3. გამოსადეგობა

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლებაშემზღუდველი ღონისძიება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება, არსებობდეს ლოგიკური კავშირი გამოყენებულ ღონისძიებასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

40. როგორც აღინიშნა, მოპასუხის მიერ სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა საფოსტო და საკურიერო მომსახურების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა. მოპასუხის განმარტებით, საბაზრო პირობებში შეუძლებელია, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურება ხელმისაწვდომ ფასად იქნეს უზრუნველყოფილი.

41. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ადგილმდებარეობის, სატრანსპორტო კომუნიკაციის, მოსახლეობის რაოდენობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საფოსტო და საკურიერო მომსახურების გაწევა საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მისი ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფა რთული ამოცანაა. საფოსტო და საკურიერო მომსახურებიდან მოგების მიღება უშუალოდ დაკავშირებულია იმ პირების რაოდენობასთან, რომლებიც საჭიროებენ საფოსტო/საკურიერო გზავნილების გაგზავნას და მიღებას. ამდენად, საფოსტო მომსახურების გამწევი ეკონომიკური აგენტებისათვის მეჩხრად დასახელებული ტერიტორიული ერთეულები შესაძლოა, ეკონომიკურად ნაკლებად საინტერესო იყოს ან,

დაინტერესების შემთხვევაში, მომსახურების ფასი არ იყოს მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი.

42. ამრიგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ ნაკლებად დასახლებულ და მწიფად მისასვლელ ადგილებში საფოსტო და საკურიერო მომსახურების გაწევა, მთელ რიგ ტექნიკურ სირთულეებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ხსენებული მომსახურების ეკონომიკური აგენტების მიერ ხელმისაწვდომ ფასად მიწოდება შესაძლოა, არ იყოს კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევისათვის, გარკვეულწილად, არსებობს ბაზარზე ჩარევის საჭიროება.

43. განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმით დადგენილია სახელმწიფო დახმარების ღონისძიება, რომლითაც სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს შპს „საქართველოს ფოსტას“. კერძოდ, სადავო ნორმის მიხედვით, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო და საკურიერო მომსახურების შეძენაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რითაც შპს „საქართველოს ფოსტას“, ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან განსხვავებით, ენიჭება გარკვეული საბაზრო უპირატესობა.

44. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმით განსაზღვრული ღონისძიება შპს „საქართველოს ფოსტას“ ანიჭებს მნიშვნელოვან საბაზრო უპირატესობას, რადგან იგი სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან განსხვავებულ, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, შეუძლია მომსახურება გაუწიოს შემსყიდველი ორგანიზაციების საკმაოდ დიდ სეგმენტს და მიიღოს ისეთი მოგება, რაც შესაძლოა, ვერ მიეღო ამ სფეროში თანასწორი, კონკურენტუნარიანი მდგომარეობის პირობებში. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ მნიშვნელოვანი შემოსავლების წყაროა. მოპასუხის მითითებით, შპს „საქართველოს ფოსტა“, აღნიშნული უპირატესი საბაზრო მდგომარეობის გამოყენებით, ახერხებს თავად გაუწიოს საფოსტო და საკურიერო მომსახურება მოსახლეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად.

45. განსახილველი დავის ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი ტარიფების ხელმისაწვდომობის შეფასების საჭიროების წინაშე. ამავდროულად, თავისთავად ის გარემოება, რომ შპს „საქართველოს ფოსტას“ (რომლის 100%-იანი პარტნიორია თავად სახელმწიფო) ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევის შესაძლებლობა სწორედ მინიჭებული მნიშვნელოვანი საბაზრო უპირატესობის მეშვეობით ეძლევა, საკმარისია გამოყენებულ ღონისძიებასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის ლოგიკური კავშირის წარმოსაჩენად.

4.4. აუცილებლობა

46. თანაზომიერების პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ გამოსადეგობასთან ერთად, სადავო ღონისძიება უფლების შეზღუდვის აუცილებელი საშუალება იყოს.

განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფომ საფოსტო და საკურიერო მომსახურების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფის საშუალებად შეარჩია ერთი ეკონომიკური აგენტის (რომლის 100%-იანი პარტნიორი თავად სახელმწიფოა) - შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ საბაზრო უპირატესობის მინიჭება სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციების მის მიმართ გამოყენებაზე უარის თქმის ფორმით. ამ მეთოდით მოპოვებული საბაზრო უპირატესობის ხარჯზე შპს „საქართველოს ფოსტას“ აქვს შესაძლებლობა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად გასწიოს საფოსტო და საკურიერო მომსახურება. შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არის ეს ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი და ხომ არ არსებობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფის შესაძლებლობა სხვა, ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელიც ნაკლებ ტვირთად დააწვება თავისუფალ ბაზარს, უფრო ნაკლებად შეზღუდავს ბაზარზე კონკურენციას და ამავე ბაზრის მონაწილე სხვა ეკონომიკურ აგენტებს.

47. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვა აზიანებს არა მხოლოდ ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების ინტერესებს, არამედ - უშუალოდ ბაზრის სტრუქტურას. შემზღუდველი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო შერჩევითად ანიჭებს სარგებელს რომელიმე ეკონომიკურ აგენტს (ან აგენტთა ჯგუფს) ნეგატიურ გავლენას ახდენს ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. ბაზრის სტრუქტურის დაზიანება და კონკურენციის შეზღუდვა უარყოფითად აისახება ბაზარზე მომსახურების/საქონლის მიმღები პირების, მომხმარებლების ინტერესებზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ნორმალური საბაზრო მდგომარეობიდან გადახრით გამოწვეული დანაკლისი აზარალებს ბაზრის სხვა მონაწილეებს, თავისუფალ კონკურენციას და საბოლოოდ მომხმარებელს, რომელიც ვერ იღებს სათანადო მომსახურებასა და საქონელს კონკურენტულ ფასად და პირობებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-43). სწორედ მომხმარებლებს აწვებათ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვით განპირობებული გადახრით გამოწვეული ეკონომიკური ტვირთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, კონკურენციის შემზღუდველი ღონისძიება გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ეკონომიკური აგენტისთვის შერჩევითად სარგებლის მინიჭება მოხდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტს მიეცემა გარკვეული დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამა თუ იმ საზოგადოებრივი სარგებლობისათვის საჭირო მომსახურების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, დაცული იყოს გარკვეული სტანდარტები, რათა არ დაირღვეს აუცილებლობის მოთხოვნა და შემზღუდველი ღონისძიება იმაზე მეტ ტვირთად არ დააწვეს ბაზარს, ვიდრე ეს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისთვის არის საჭირო.

48. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს მომსახურების გამწვევი ეკონომიკური აგენტის ვალდებულება, რომ სათანადო პირობების დაცვით უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების გაწევა. ამგვარი მკაფიო, საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ვალდებულების არარსებობის პირობებში იქმნება საფრთხე, რომ ეკონომიკურმა აგენტმა არ შეასრულოს ან სათანადოდ არ შეასრულოს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ვალდებულება და სამეწარმეო თავისუფლება შეიზღუდოს დაუსაბუთებლად.

49. ამავედროულად, მნიშვნელოვანია შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტური პარამეტრების არსებობა. აუცილებელია, გონივრულად განისაზღვროს, რა მოცულობის ხარჯია საჭირო შესაბამისი მომსახურების გასაწევად. აღნიშნულ ხარჯებში დეტალურად უნდა გაანგარიშდეს, თუ რა ეკონომიკური ღირებულება აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო კონკრეტულ მომსახურებას, რა ფასად და რა მოგების სანაცვლოდ არის შესაძლებელი ამ მომსახურების გაწევა ნორმალურ საბაზრო პირობებში ბაზრის საშუალო მონაწილის მიერ. ასევე აუცილებელია, არსებობდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭების იმგვარი წესი, რომ გამოირიცხოს მისთვის იმაზე მეტი სარგებლის მინიჭება, ვიდრე ეს სათანადო ეკონომიკური ხარჯების და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნება საჭირო. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დახმარების მოცულობამ არ გადააჭარბოს მომსახურებისათვის აუცილებელი ხარჯების ოდენობას, რათა ნაკლები ზიანი მიადგეს კონკურენციას და საბაზრო გადახრა იყოს მინიმალური.

50. ამრიგად, საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების განხორციელებისათვის ეკონომიკური აგენტისათვის შეღავათის მინიჭება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ (ა) მკაფიოდ არის განსაზღვრული შეღავათის მიმღები ეკონომიკური აგენტის ვალდებულება, შეასრულოს შესაბამისი საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურება; (ბ) არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტური პარამეტრები და (გ) არსებობს ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭების იმგვარი წესი, რომ გამოირიცხოს მისთვის იმაზე მეტი სარგებლის მინიჭება, ვიდრე ეს სათანადო ეკონომიკური ხარჯების და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნება საჭირო. სწორედ ამ მოთხოვნების კუმულაციურად დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარების გაცემა აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თითოეულ მოთხოვნასთან შესაბამისობას ცალ-ცალკე შეაფასებს.

ა) ეკონომიკური აგენტის ვალდებულების განსაზღვრა

51. როგორც აღინიშნა, აუცილებელია, საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების განხორციელების მიზნით, ეკონომიკური აგენტისათვის შეღავათის მინიჭება დაუკავშირდეს შესაბამისი საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების

განხორციელების ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, რომ სახელმწიფო დახმარების მიმღები ეკონომიკური აგენტი შეასრულებს საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურებას დადგენილ ფარგლებში და სათანადო პირობების დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იარსებებს რისკი, რომ სახელმწიფო დახმარების მინიჭება განხორციელდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების განხორციელების გარეშე. ასეთ პირობებში კი გაუმართლებლად შეიზღუდება თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება.

52. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულებას, ხელმისაწვდომ ფასად გაუწიოს მოსახლეობას საფოსტო და საკურიერო მომსახურება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მომსახურების გაწევის სტანდარტები, ზღვრული ტარიფები და ა. შ. ასეთ პირობებში საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ფაქტობრივ მოცემულობაზე. კერძოდ, რამდენად წევს შპს „საქართველოს ფოსტა“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად. ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თავისთავად ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტის, მათ შორის, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურება ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად და ხელმისაწვდომი ფასით, არ არის საკმარისი გარანტია მომსახურების ხელმისაწვდომობის ადეკვატური უზრუნველყოფისათვის. აუცილებელია, რომ არსებობდეს საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ რეგულირებული ვალდებულება საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომობის და მისი სტანდარტების თაობაზე. შესაბამისად, ამგვარი საკანონმდებლო დონეზე გაწერილი ვალდებულებების არარსებობის პირობებში იქმნება თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლების გაუმართლებელი, არასაჭირო შეზღუდვის საფრთხე. სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, კანონმდებლობით მკაფიოდ იყოს განსაზღვრული შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება, რომ სათანადო ფასად და შესაბამისი სტანდარტების დაცვით უზრუნველყოს საფოსტო და საკურიერო მომსახურება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიფე იქნება შეზღუდვის აუცილებლობის კომპონენტთან შესაბამისობა.

ბ) საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტური პარამეტრები

53. ამავდროულად, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯები, მათ შორის, მომსახურების მიმწოდებლის მოგება ითვლებოდეს გამჭვირვალე და ობიექტური პარამეტრების გამოყენებით. სწორედ ამგვარი გარანტიის პირობებში იქნება შესაძლებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების ღირებულების განსაზღვრა, რათა მისი შესაბამისი იყოს სახელმწიფო დახმარების მოცულობა.

54. განსახილველ შემთხვევაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევის ხარჯების დაანგარიშების წესს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში არ არის დათვლილი, თუ რა ხარჯებია საჭირო შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების - ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გასაწევად. შპს „საქართველოს ფოსტა“ გარკვეული ხარჯებით, გარკვეული მოგების სანაცვლოდ გასწევს აღნიშნულ მომსახურებას, რის ასანაზღაურებლადაც მიეცემა სადავო ნორმით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება. კანონმდებლობით არ არის შექმნილი სათანადო სისტემა, რომელიც ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების მიხედვით გაიანგარიშებდა, რა ღირებულების ფასად ხდება საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რამდენია ამ ღირებულებაში უშუალო ხარჯი და რამდენი - შპს „საქართველოს ფოსტის“ მოგება.

გ) ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის პროპორციულად მინიჭების წესი

55. საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის წესთან ერთად, ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ ეკონომიკური აგენტი იღებდეს მომსახურების გაწევის პროპორციულ სახელმწიფო დახმარებას. კერძოდ, მიღებული სახელმწიფო დახმარების ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებს, მათ შორის, ეკონომიკური აგენტის გონივრულ მოგებას.

56. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურების გაწევის აუცილებლობის უზრუნველყოფის კიდეც ერთ წინაპირობას - არ ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ შპს „საქართველოს ფოსტამ“ მიიღოს ეკონომიკური დახმარება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც ეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების გაწევისათვის არის საჭირო. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიებით შპს „საქართველოს ფოსტას“ გადაეცემა გარკვეული სარგებელი. კერძოდ, შპს „საქართველოს ფოსტისგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები. აღნიშნული მნიშვნელოვან საბაზრო უპირატესობას აძლევს შპს „საქართველოს ფოსტას“, ვინაიდან უქმნის დამატებით „გარანტირებულ“ მოთხოვნას სახელმწიფო შესყიდვების სახით. ხსენებული საბაზრო უპირატესობით შპს „საქართველოს ფოსტას“ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს გარკვეული ფინანსური სარგებელი, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისათვის იღებს სათანადო ანაზღაურებას. შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ არ ხდება რაიმე კონკრეტული, განსაზღვრული ოდენობის ფინანსური სარგებლის მინიჭება, მას სარგებელი მიეცემა სახელმწიფო შესყიდვებში უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების ფორმით. ამასთან, არც კანონმდებლობით ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ მინიჭებული ეკონომიკური სარგებლის მოცულობა არ აჭარბებდეს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ

საზოგადოებრივი მომსახურების - საფოსტო და საკურიერო სერვისების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად გაწევის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ობიექტური შესაძლებლობა, რომ შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი იყოს ბევრად მეტი - ვიდრე ეს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების გაწევისთვის არის საჭირო. ამგვარი რეგულირება აჩენს რისკებს, რომ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის - შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ ეკონომიკური სარგებლის მინიჭება მოხდეს იმაზე მეტად, ვიდრე ეს ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული.

57. ამრიგად, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შპს „საქართველოს ფოსტის“ ვალდებულება, გასწიოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურება სათანადო ფასად და პირობებით, არ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტური პარამეტრები და არ გამოირიცხება შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ იმაზე მეტი სარგებლის მინიჭება, ვიდრე ეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების სათანადო ფასად გაწევის ეკონომიკური ხარჯების და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნება საჭირო. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაციით თავისუფალ ბაზარს შეიძლება დააწვეს იმაზე მეტი ტვირთი, ვიდრე ეს აუცილებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების სათანადო, ხელმისაწვდომი პირობებით განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უზრუნველყოფისათვის. ამრიგად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება არათანაზომიერად ზღუდავს სამეწარმეო თავისუფლებას და ნორმა არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება

59. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანია. ამასთანავე, აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად დასაშვებია ცალკეული ეკონომიკური აგენტისათვის შერჩევითად სარგებლის მინიჭება და კონკურენციის თავისუფლების შეზღუდვა. განსახილველ შემთხვევაში ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ სარგებლის მინიჭება მოხდა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების დარღვევით. წინამდებარე გადაწყვეტილება ექვემდებარება არ აყენებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად გაწევის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარების საჭიროებას.

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ დაკარგავს მინიჭებულ ეკონომიკურ სარგებელს, რამაც შესაძლოა, შეაფერხოს მის მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფის პროცესი. ამრიგად, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობა უარყოფით გავლენას მოახდენს საფოსტო და საკურიერო მომსახურების მომხმარებლებზე და ეჭვქვეშ დააყენებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების ლეგიტიმურ მიზანს. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგოს სფერო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი 2020 წლის 1 მაისიდან.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, 1¹, 1², 1³, 1⁴, 1⁵, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, 8¹, მე-11, 12¹, მე-13, მე-15 და მე-16 პუნქტების და 45-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №655 („შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) დაკმაყოფილდეს და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი არაკონსტიტუციურად იქნეს

ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით.

2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2020 წლის 1 მაისიდან.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.

6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

გიორგი კვერენჩილაძე

მაია კოპალეიშვილი

ასლი დედანთან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

მანანა კობახიძე

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა

